მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმიN4

ქ.მარტვილი 8 აპრილი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 13[00] საათზე, დამთავრდა 14[45] საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, შალვა ბახია, ელიზბარ ახვლედიანი, ნათია ბჟალავა, ვლადიმერ დანელია.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ; საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.
სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

დღის წესრიგი:

1. ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ: 41.09.37.229 ფართობი 1600 კვ.მ შენობა ნაგებობა N1; N2) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების „მამული“-ს შექმნის თაობაზე;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
4. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ.
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა საკითხების წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 9 წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ: 41.09.37.229 ფართობი 1600 კვ.მ შენობა ნაგებობა N1; N2) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და განუმარტა, რომ საკითხი ეხებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საქმიანი ეზოს ტერიტორიას და წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ელდარ თოდუამ აღნიშნა, რომ მისი აზრით აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას ნახაზის კორექტირების მიზნით და არ ეთანხმება რომ წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში რასაც დაეთანხმნენ ბიუროს სხვა წევრებიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ: 41.09.37.229 ფართობი 1600 კვ.მ შენობა ნაგებობა N1; N2) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 0 წინააღმდეგი 9.

ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიის დაზუსტების მიზნით არ იქნას შეტანილი საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა მე-2 საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 9 წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წელს დამტკიცებულ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას ემატება მარტვილის მუნიციპალიტეტის გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 736კვმ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 41.12.31.222 და სთხოვა ბიუროს წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
კობა დარჯანიამ აღნიშნა, რომ ის ეთანხმება აღნიშნული საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში და ასევე კმაყოფილება გამოთქვა მერიის შესაბამისი სამსახურების მიმართ რათა საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცება ხდება საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შემდეგ რაც მუნიციპალიტეტს ააცილებს გაუთვალისწინებელ ხარჯებს.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დაყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 9, წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა მე-3 საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 9 წევრმა.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების „მამული“-ს შექმნის თაობაზე.
მომხსენებელმა ბიუროს წევრებს განუმარტა რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობს შესაბამისი კომისიის დასკვნა რომელიც გააცნო ბიუროს წევრებს და სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 9 წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების „მამული“-ს შექმნის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა მე-4 საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 9 წევრმა.

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს წარუდგინა შესაბამისი ნუსხა და სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 9 წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში

შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა